ექო

„... და მაშინ გაანიავოს ყოველი ქარიავენი“

№18, ოთხშაბათი, 27 ივნისი – 3 ივლისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი



„ეროვნება ცხოველებს არ გააჩნიათ“

დასავლეთისათვის სასურველია მხოლოდ ისეთი ხელისუფლება, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ყველა მის მოთხოვნას. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლების სათავეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე.შევარდნაძის მოსვლისა. გვ. 3-4

30 ივნისი – შალვა ახალციხელის, 4 ივლისი წმიდა მოწამე მეფეთა არჩილ და ლუარსაბის ხსენების დღეა

მოწამემან შენმან, უფალო, ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგეს უხრწნელებისა შენ მიერ ღვთისა ჩვენისა, რამეთუ აქუნდათ მათ შენ მიერი ძალი და მძლავრი დაამხვეს და შემუსრეს კერპთა იგი უძლური ძალი. მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნე სულნი ჩვენნი.

უზენაესი საბჭო

ბიმურზა აფრასიძე: ფაქტობრივი ხელისუფლება კვლავ აგრძელებს სასურველი “პოლიტიკური” ორგანიზაციების რეკლამას და სრულ იგნორირებას უკეთებს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის რეიტინგს. გვ. 2

მე მოგიყვებით ჩემი ოჯახის ტრაგედიის შესახებ. ამას იმიტომ უფრო ვაკეთებ, რომ სხვები მაინც მოეგონ გონს და თავი იხსნან ცოდვებისაგან გვ. 5



არსენ ფოჩხუა: ან კი სად დავასვენო ღირსების ორდენი, აქ, ამ ფარდულში? (ფარდით გადატიხრულ „კაბინეტს“ გულისხმობდა) – სხვებს უნყალობეთ, მათ მოახმაროთ ღმერთმა. გვ. 7

ჩვენი რწმენა

არქიმანდრიტი რაფაელი: იეღოველთა სწავლება ძალიან ჰგავს მარქსისტების ფუტუროლოგიას, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ კლასობრივი ბრძოლების შემდეგ დადგება თავისუფლებისა და ბედნიერების სუფევა მშრომელთათვის, მატერიალურ სიკეთეთა ხანა. თუმცა მარქსისტებისგან განსხვავებით, იეღოველთა ქალაქებში სასაფლაოები არ იქნება. რაციონალიზმი ამ სექტაში უკიდურესობამდეა მისული.

იეღოველები მარქსიზმთან შედარებით უფრო წინ წავიდნენ. მათ უკვდავყვეს არსებობის მატერიალური ფორმები, მოიშორეს წარმოდგენა სიკვდილზე და თვით ღმერთის ცნებაში შეიტანეს მატერიალურობის პრინციპი. იეღოველობა მატერიალიზმის ზეიმია, რომელმაც მარადიულობისა და ღმერთის ცნებათა სპეკულარიზაცია მოახდინეს. გვ. 6

სხვისი აზრი და ჩვენი კომენტარი

ჯაბა იოსელიანით დაწყებული, კობა დავითაშვილით დამთავრებული „პოლიტიკური ჯაჭვი აგერ უკვე 10 წელია ცდილობს უკანონო და მოძალადე ხელისუფლებისთვის ლეგიტიმურობის მოპოვებას ძალადობისა და უკანონობის გზით! გვ. 7

საქართველოს ამბები

მიმდინარეობს ახალი მოლაპარაკებანი ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის ხე-ტყის გაყიდვაზე. ამჟამად ფასებზე თანხმდებიან. იყიდება ელექტროკავშირგაბმულობა, უკვე ფასიც შეთანხმებულია. გვ. 4

„ვარსკვლავთცვენა“

დასაბამი მიეცა თბილისურ „ვარსკვლავთცვენას“, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქვეყნის აღმშენებლობისაგან განსხვავებით, ელვისებური სისწრაფით განვითარდება. გვ. 8

შვილო მანანა!

გილოცავ დაბადების დღეს, შენ გმირი ხარ, გმირი. დღეგრძელობა და ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ ღმერთმა შენს და შენ ოჯახს და თქვენს საფიცარ სამშობლოსთან ერთად მალე გაგამარჯვებინოთ ნვენი ქვეყნის მტრებზე.

დიდი სიყვარულით შენი

ოლღა დემურია-კოსტავა

21.06.2001

ქალბატონო მანანა!

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ თქვენეული სილამაზე და მიტევების ნიჭი მალე აღექვას ყველას, ხოლო თქვენი სიმართლით უახლოეს მომავალში ეზეიმოს მთელ საქართველოს!

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქ-ნ მანანა არჩვაძე-ბამსახურდიას

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მუხლჩაუხრელო, მშვენიერო ქალბატონო მანანა! კოლხური კოშკის ტრადიციების, ზვიადისა და მერაბის მიერ დაწყებული საქმეების ღირსეულო მემკვიდრევ და გზის გამგრძელებელო, ქართველი ხალხის რწმენა და იმედო, ზესტაფონის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა რაიონული მრგვალი მაგიდა, თქვენი ზესტაფონელები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს სრულიად საქართველოსთან, თქვენს ეაუკაცებთან, ქ-ნ ლელესთან და ყველა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც უღალატოდ დგანან თქვენს გვერდით და ერთგულებენ სამშობლოს. გისურვებთ ჯანმრთელობას, გამარჯვებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი იმ დიდ, მამულიშვილურ საქმეში, რომელსაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია – ამინ!

ზესტაფონის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა რაიონული მრგვალი მაგიდა

უზენაესი საბჭო

ბიმურზა აფრასიძე: ცრუ სოციოლოგიური სამსახურები დე ფაქტო ხელისუფლების სამსახურში ანუ თვალში ნაცარი როდემდე?

2001 წლის 12 ივნისს "ღამის კურიერში" ჟურნალისტმა ეკა ბერიძემ ტელემაყურებელს გააცნო "გორბის" მიერ ჩატარებული "კვლევის " შედეგები პოლიტიკური პარტიების რეიტინგის შესახებ. "კვლევამ" ასეთი შედეგები მოგვცა: "აღორძინებას მხარს უჭერს გამოკითხულთა 18%, მრეწველებს – 15%, მოქალაქეთა კავშირს – 11%, ლეიბორისტებს – 5,6%, ედპ-ს – 4,9%-ი. დანარჩენებს არჩევანი ჯერ არ გაუკეთებიათ.

"გორბი", "თავისუფალი არჩევნები" და სხვ. "კვლევის ცენტრები" ადგილობრივ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ წინასწარ გამოიცნობდნენ "არჩევნებ"-დანიშვნების შედეგებს. ამით ისინი დამკვეთის ნება-სურვილს ასრულებდნენ. ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ მოსახლეობის უფლებების (მიიღოს სწორი ინფორმაცია) ხელყოფასა და სოციოლოგიის დისკრედიტაციას.

ფაქტობრივი ხელისუფლება კვლავ აგრძელებს სასურველი "პოლიტიკური" ორგანიზაციების რეკლამას და სრულ იგნორირებას უკეთებს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის რეიტინგს. კვლევის ცენტრებს, მასმედიას ფაქტობრივი ხელისუფლება უკრძალავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მრგვალი მაგიდის ხსენებას. მათ სურთ ამომრჩეველს, მოქალაქეებს, დაავიწყონ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას კატასტროფიდან. ამით ისინი ცდილობენ ქვეყნის შიგნით და გარეთ აჩვენონ, რომ კანონიერი ხელისუფლება-უზენაესი საბჭო არ არსებობს. სინამდვილეში, დამოუკიდებელ სოციოლოგიურ გამოკვლევებში ნათლად ჩანს, რომ ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა ისევ მხარს უჭერს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას. ამის ნათელი დადასტურება იყო 1992 წლის 1-2 თებერვალს 200-300 ათასიანი მანიფესტაციები, 2001 წლის 26 მაისს ქ.თბილისში სახალხო შეკრებაზე, მიუხედავად მოსალოდნელი სასტიკი დარბევისა, ათიათასობით ადამიანის მოსვლა.

ზემოთ ჩამოთვლილი "რეიტინგიანი" პარტიები მოსახლეობამ ბოლო 9 წელიწადში გაიცნო სახელმწიფო მმართველობასა და "ბიზნესში" წარმატებული მოღვაწეობით", ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებით, მილიონობით ადამიანის გაძარცვა-გაუბედურებით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით, საზღვარგარეთ მოქალაქეების მონებად გაყიდვით, ტყუილი დაპირებებით, სეკვესტრებით, სულიერი ღირებულებების გაუფასურებით, თვითმკვლელობების, მათხოვართა და მაწანწალათა არნახული რაოდენობით, სიცივით, შიმშილით, მოსახლეობის 5 %-ის მიერ დანარჩენი 95 %-ის საკუთრების მითვისებით, არნახული კორუფციით, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვით, გმირების მოღალატეებად მონათვლით, მოღალატეების გმირებად წარმოჩენით და ა.შ.

დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ორხელისუფლებიანობაა, ერთ მხარეს არის ქვეყნის კატასტროფამდე მიმყვანი დე ფაქტო ხელისუფლება, მეორე მხარეს კი – ქვეყნისათვის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მომტანი დე იურე ხელისუფლება. საქართველოს მოსახლეობას კვლავ სწამს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა ე.ი. სჯერა მისი და კვლავაც მას უჭერს მხარს.

ცრუ სოციოლოგიური „გამოკვლევების" საზოგადოებაზე თავს მოხვევა კლანური ინტერესების გამომხატველი გაზეთების თუ ტელეარხების საშუალებით ხდება; მაგალითად:

1997 წლის 21-27 ივლისის გაზეთ „კვირის პალიტრაში" თ.სიგუა იშველიებს რა ე.წ. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს, აღნიშნავს, რომ 1992 წლის იანვარ-თებერვალში პოლიტიკური მოღვაწეთა რეიტინგში ლიდერობდაო ა.ბაქრაძე, ზვიად გამსახურდია კი, მისი აზრით, მე-15 ადგილზე იყო. მარტში კი შევარდნაძე და ბაქრაძე პირველ ადგილს იყოფდნენო, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მარტში 2-ჯერ და აპრილში 3-ჯერ ჩამორჩებოდაო მათ. საინტერესოა, თუ სიგუას ინფორმაცია სინამდვილესთან ახლოსაა, მაშინ თებერვალში 300 ათასიანი გამოსვლები რატომ იხვრიტებოდა ან სამეგრელოში ეგზეკუციებს ხუნტა რისთვის აწყობდა?

სახელმწიფო დამნაშავის და დეზინფორმატორის, თ.სიგუას გასაგონად უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსმა სოციოლოგიურმა სამსახურმა კერძოდ, საქ. აკ-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა 1990 წლის ოქტომბერში, გაზეთებში გამოაქვეყნა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციების რეიტინგები, სადაც კომუნისტებს 35 % „ერგოთ", ხოლო „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსთვის" კი მხოლოდ 15 %-ი გაიმეტეს.

ჩვენი დამოუკიდებელი სოციოლოგიური სამსახურის მონაცემებით მაშინ „მრგვალი მაგიდის" რეიტინგი 60%-ს აღემატებოდა, რაც არჩევნებში გამართლდა კიდეც. იგივე სიტუაციასთან გვაქვს საქმე 1992 წლის თებერვალ-მარტში, რადგან ჩვენი გამოკვლევებით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია 3-4 ჯერ უსწრებდა სიგუას მიერ დასახელებულ პერსონებს.

საყოველთაო აპრობირებული კვლევის მეთოდების გამოყენებით მიღებული ეს შედეგები მაშინ არცერთმა ე.წ. თავისუფალმა გაზეთმა არ დაბეჭდა, რადგან ისინი ემორჩილებოდნენ ხუნტას.

სიგუას, შევარდნაძის, იოსელიანის „ზეობის" პერიოდში მასმედია სინამდვილის გაყალბებაში საკმაოდ გაირჯა. კერძოდ, გაზეთი „კავკასიონი"(8.06.94) მოქალაქეთა კავშირის უმაღლეს რეიტინგს „აფიქსირებს", ამ დროს კი გაზეთი „ახალი თაობის" (20.06.94)" პოლიტიკურ მოღვაწეთა" რეიტინგების მონაცემები თანამდებობრივი იერარქიის იდენტური იყო.

სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევის ცენტრები „პრეზიდენტის" კანცელარიიდან, „პარლამენტიდან" იღებენ „დაკვეთებს" და ისეთი სიზუსტით აკეთებენ მოსალოდნელი არჩევნების შედეგების პროგნოზირებას, რომ თვით გელაპის ინსტიტუტსაც შეშურდებოდა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევებში (1992, 1995, 1999, 2000 წლები) „არჩევნების" შედეგები წინასწარ იყო განსაზღვრული. მოსახლეობის დეზინფორმაციებით მომარაგებას" „არჩევნების" შემდეგ აგრძელებენ. ჟურნალისტი ნატო ონიანი, რომლის თქმით, სოციოლოგია ზუსტი მეცნიერებაა ანუ მათემატიკაა (ახალი აღმოჩენა!); ზ.ჟვანია კი აცხადებს, რომ პროგნოზები გამართლდა. ერთი კვირით ადრე, მთელ რესპუბლიკაში ჩანდა, რომ ამ სამ ძალას (მოქ.კავშირი, „აღორძინება" და ედპ) ჰქონდა მხოლოდ შანსი („ალიონი" 1995 წლის 21 ნოემბერი).

ასე იყო 1999 წლის ე.წ. საპარლამენტო არჩევნების დროსაც.

სიყალბის ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა საააგენტო მეილექსპრესის „სოციოლოგიური სამსახურის" მიერ ქ.თბილისში სატელეფონო გამოკითხვამ (გაზეთი „ახალი თაობა", 2000 წელი, მარტი). მათი აზრით, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებდა ამომრჩეველთა 67,5 %, აქედან 80,5 %-მა პრეზიდენტობის სასურველ კანდიდატად შევარდნაძე დაასახელა (?!) ეს შედეგები ძალიან ახლოსაა „არჩევნების" ე.წ. შედეგებთან.

> ფაქტობრივი ხელისუფლება კვლავ აგრძელებს სასურველი "პოლიტიკური" ორგანიზაციების რეკლამას და სრულ იგნორირებას უკეთებს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის რეიტინგს.

სინამდვილეში ქართველი და უცხოელი ექსპერტების პროგნოზებით, „არჩევნებში" მონაწილეთა რაოდენობა 20%-ს არ აღემატებოდა, რაც „არჩევნების" ჭეშმარიტმა შედეგებმაც დაადასტურეს.

ე.წ. თავისუფალი პრესა განსაკუთრებით სცოდავს გაზეთებთან არსებულ ე.წ. სოციოლოგიური სამსახურის კვლევების შემთხვევაში. ასე მაგალითად, 1999 წლის „კვირის პალიტრის" ერთ-ერთი რეიტინგული გამოკითხვით საუკეთესო პოლიტიკოს ქართველ ქალად ირინა სარიშვილი დასახელდა, თამარ მეფე მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ქეთევან დედოფლისთვის ადგილი ხუთეულში არ აღმოჩნდა (?!). იგივე „კვირის პალიტრამ" 1999 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში საუკუნის ქართველი ადამიანების პირველი ათეული ასე განსაზღვრა: 1. ილია ჭავჭავაძე- 26%; 2.შევარდნაძე- 20%; 3.სტალინი - 17%; 4.ზვიად გამსახურდია - 5%; 5.გალაკტიონი - 3%; 6-8.ე.თაყაიშვილი 2% 6-8.კ.გამსახურდია - 2%; 6-8. მ.კოსტავა - 2%. 9-10. ი.ჭავახიშვილი 1%; 9-10.გიორგი კანდელაკი. ამ შედეგებიდან გამომდინარე, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. 1999 წლის თებერვალში „კვირის პალიტრის" ყველაზე სექსუალური მამაკაცის რეიტინგში ალენ დელონი პირველ ადგილზე გავიდა, ზურაბ ჟვანიამ მე-5-6 ადგილები გაიყო, ხოლო ჰოლივუდის ცნობილი კინოვარსკვლავები ათეულს მიღმა დარჩნენ. მოკლედ ზ.ჟვანიას ბიოგრაფია ახალ-ახალი შტრიხებით ივსება.

გაზეთ „ალიაში" (2000 წელი, 29-30 აგვისტო) ქეთი ხატიაშვილის სტატიაში„ შევარდნაძემ დიდი ღალატი აღიარა" უაღრესად ცალმხრივად და ტენდენციურად არის ასახული აფხაზეთის მოვლენები. მე არ შევუდგები ამ სტატიაში სახელმწიფო დამნაშავეთა გამონათქვამების ანალიზს, ვინაიდან ჩემს ერთ-ერთ გამოსვლაში (იხ.გაზეთი „ქუჯი" №5) საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე იმ სამართლებრივ-პოლიტიკურ არგუმენტებზე, რის გამოც აფხაზეთი დაიკარგა. ვთვლი, რომ ჩემს მიერ მაშინ მოყვანილი დოკუმენტური მასალა საკადრის პასუხს გასცემს ყველა დეზინფორმაციას.

რაც შეეხება ამ სტატიას, მის დასკვნით ნაწილში მოცემულია გაზეთ „ალიას" სოციოლოგიური სამსახურის გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, კითხვაზე „პერსონალურად ვინ უნდა აგოს პასუხი აფხაზეთში დამარცხებისათვის" 800 გამოკითხულის პასუხები ასე განაწილდა: ედ.შევარდნაძე-78,4%, ჯ.იოსელიანი - 69,9%, თ.კიტოვანი - 63,1%, თ.ნადარეიშვილი 31,1 %, ზვიად გამსახურდია 26%, გია ყარყარაშვილი 24,1%, ლ.ქობალია - 18,3 %, ი.ბათიაშვილი 12,9%, ს.კავსაძე - 11,2 %, გ.ხაინდრავა - 8,1%, ყველამ „ 89,7%. აღნიშნულ სტატიას ტელევიზიის პირველი არხით გადაცემა „ალიონმა" დიდი რეკლამა გაუკეთა, რაც თავისთავად გასაგები უნდა იყოს, რადგან ამ სახელმწიფო დამნაშავეების რიგში მოახვედრეს XX საუკუნის ბუმბერაზი ქართველი, აფხაზეთის გადარჩენისათვის სამშობლოში დაბრუნებული და ზვარაკად შეწირული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

... მთლიანობაში, ამ ყველაფერს ერთი სახელი ჰქვია „საინფორმაციო აფეორა"; არსებული დე ფაქტო რეჟიმი ამ გზით ინარჩუნებს არსებობას! როდემდე?

ზვიად გამსახურდია:

„ცხოველებს არ გააჩნიათ ეროვნება“

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა გაგებით გამოიყენებენ ტერმინებს: ეროვნება, ეროვნულობა, ნაციონალიზმი და სხვ. ბევრი ნაციონალიზმს ნაციზმთანაც აიგივებს.

ეროვნულობა (ნაციონალიზმი) სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარული და პატივისცემა, ხოლო ეროვნება ადამიანისათვის ღვთისაგან ბოძებული ნიშანია (გახსოვთ ალბათ, „ბაბილონის გოდოლი“).

ეროვნებისა და ეროვნულობის პრობლემები დღეს უფრო გააქტიურდა ჩვენს საზოგადოებაში. ამის გამო გაზეთ „ქუჯის“ რედაქცია ბეჭდავს ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1992 წელს მცირეტირაჟიან გაზეთში „საქართველოს ცის ქვეშ“.

როდესაც სადღაც აფრიკაში ხალხი ჩაოგადებს - ხოლმე კანიბალ იმპერატორ ბოკასას მსგავს მორიგ დიქტატორს, მაშინ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას უყურებენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების ხელყოფას“ და დიქტატორის დასახმარებლად აგზავნიან გაეროს ჯარებს.

ხოლო როდესაც საქართველოში ერთი მუჭა „კანონიერი“ ქურდები შეიარაღებული გზით ხელში იგდებდნენ ძალაუფლებას და ამბობენ კანონიერ პრეზიდენტს, ამ აღმაშფოთებელ ფაქტს მსოფლიო საზოგადოება აფასებს „ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვად“.

თუ რატომ ამჟღავნებენ დასავლეთის დემოკრატები ასეთ გულგრილობას სახელმწიფოს კანონიერი მეთაურის ბედის მიმართ, ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეგო თვით საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასაგან.

„მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში უკვე დიდი ხანია დაშორდნენ დემოკრატიას. დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით ხმარობენ დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბად. როდესაც დასავლეთის ამ მთავრობებს სურვილი აქვთ, რომელიმე რეგიონში გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო პოტენციალი, მაშინ ისინი, პირველყოვლისა, ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის მთავრობა, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში - უბრალოდ დაამხობენ კანონიერ ხელისუფლებას. ამასთან მათთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მათ მიერ დამხობილი რეჟიმის ხასიათს: არის ის დემოკრატიული თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ახლა საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს წევრ ქვეყნებში.

საგულისხმოა, რომ დასავლეთის ყველაზე უფრო მძლავრი ქვეყნების მთავრობები უკვე აღარ თვლიან საჭიროდ საკუთარი მიზნების შენიღბვას და დაუფარავად და ცინიკურად თელავენ სხვა ხალხების ნებას. სწორედ ეს მოხდა საქართველოში.

- ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, რომლებიც ასე თავისუფლად ერევიან სხვა სახელმწიფოთა საქმეებში?

- ისინი კაცობრიობის მტრები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მათ მიზნად აქვთ დასახული სხვა ხალხების გენოციდი, პლანეტის მთელი მოსახლეობიდან ერთი გარკვეული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად მე ამას ვუწოდებდი ევროამერიკულ იმპერიალიზმს. მთავარ ძალას მათ შორის წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო გადატრიალება საქართველოში განხორციელდა ოკეანის გაღმიდან სახელმწიფო მდივნის ჯ.ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ჯ.ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისაკენ საქართველოს ბანდიტურ ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში კი მშვენივრად იცოდნენ, რომ საქართველოში ოპოზიცია შედგებოდა კრიმინალური მაფიისაგან და ყოფილი პარტოკრატებისაგან). ბეიკერმა ასევე მიგვახვედრა, რომ აშშ მხარს დაუჭერდა საქართველოს მაშინდელ რეჟიმს და არ გაუწევდა არანაირ დახმარებას. შეერთებული შტატების მიერ საქართველოში განხორციელებული გადატრიალების სცენარი ადრე არაერთხელ გამოუყენებიათ მათ პლანეტის სხვა რეგიონებში.



- რატომ გახდით თქვენ და თქვენი ხელისუფლება დასავლეთისათვის არასასურველნი?

- იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობდით გვეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა, არ გვსურდა დავმორჩილებოდით დასავლეთის ქვეყნების დიქტატს და არ გავხდით მათი ინტერესების მსახურები. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ვცდილობდით არ დაგვეშვა, რომ საქართველო გამხდარიყო დასავლეთის კოლონია.

დასავლეთისათვის კი სასურველია მხოლოდ ისეთი ხელისუფლება, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ყველა მის მოთხოვნას. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლების სათავეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე.შევარდნაძის მოსვლისა.

- იყო აგრეთვე სხვა მიზეზი დასავლეთის მიერ ჩვენი ათვალწუნების. სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ ჩვენ ვისწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებისაკენ, ჩვენი ხალხის შეკავშირებისაკენ ეროვნულ საწყისებზე, იმისაკენ, რომ საქართველოს მოსახლეობას გაეხსენებინა, რომ ის არის ხალხი უფრო ძველი ისტორიის მქონე, ვიდრე ბევრი ევროპელი ხალხი. ჩვენი პოლიტიკის ამ ეროვნულ ორიენტაციასაც არ გამოუწვევია საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღფრთოვანება, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მე მხედველობაში მაქვს მთავრობები და არა ხალხები) იბრძვის ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მათი მიზანია, მოსპონ ეროვნულობა და საერთოდ, შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი მსოფლიო მთავრობის სათავეში. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა მართოს მთელი მსოფლიო და მოაწყოს ეგრეთ წოდებული ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსი ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოსპობაა (არა აქვს მნიშვნელობა ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, აქ რელიგია როლს არ თამაშობს), ამ ქვეყნის მოსახლეობის გენოციდი და მთელი პლანეტის საბოლოო დამორჩილებაა.

ძალები, რომლებიც ამზადებენ მსოფლიო მთავრობის გაბატონებას, სხვა ქვეყნებს უყურებენ მხოლოდ მათი რესურსების თვალსაზრისით, მათ უნდათ ამ ქვეყნების, მათივე ხალხებით, კულტურით, გადაქცევა უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც დარჩება მსოფლიო ელიტისათვის სასურველი მოსახლეობის რაოდენობა, მთლიანად დემორალიზებული და მისი ინტერესების მორჩილი.

ერთადერთი დაბრკოლება ამ ჩანაფიქრის განხორციელების გზაზე შეიძლება იყოს ხალხთა ეროვნული ცნობიერების ამაღლება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა. ამიტომ დასავლეთი ყველგან ებრძვის ეროვნულ მოძრაობებს. ამისათვის ის ცდილობს, გააღვივოს ეთნიკური კონფლიქტები და მოახდინოს ომების პროვოცირება. მაგალითად, ომი იუგოსლავიაში მათ მიერაა ინსპირირებული. ეს არ არის შემთხვევითი, სტიქიურად წარმოქმნილი კონფლიქტი, ეს არის მიზანმიმართულად გაღვივებული ომი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ეროვნული იდეის მატარებელმა ხალხებმა.

ამჟამად იუგოსლავიური მოდელი დასავლეთის მიერ გამოიტანება კავკასიაში, სადაც, ისევე, როგორც ბალკანეთში, ხელოვნურად მძაფრდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. ამის შედეგად აქა თუ იქ წამოქმნილი ლოკალური კონფლიქტები მისცემენ დასავლეთს გაეროს ძალების დროშით პირდაპირი სამხედრო ჩარევის საბაბს. სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა განცხადება იმის შესახებ, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომლებიც ჩაერევიან დედამიწის ნებისმიერ რეგიონში მომხდარ მოვლენებში. ფრიად საგულისხმოა, რომ ამასთან დაკავშირებით ნახსენები იყო კავკასია და იუგოსლავია.

ასეთია არსი დასავლური ახალი მსოფლიო წესრიგის პოლტიკისა. ეს პოლიტიკა მიმართულია მსოფლიოს ყველა ხალხის, მათი დამოუკიდელობისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ,

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შეეცადეთ შეგექმნათ საქართველოში სახელმწიფო, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე. რა არის, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის დროს?

- პირველ რიგში აუცილებელია, გამომუშავდეს მექანიზმი თანხმობის მიღწევისა ყველა ნაციონალისტს შორის, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში და უზრუნველყოფილ იქნას ეროვნულ უმცირესობათა დაცვა. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შეუძლებელია შიგნით სტაბილურობის მიღწევა ეროვნულ უმცირესობათა დაჩაგვრითა და მათზე ძალადობით. აუცილებელია, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ეროვნებათა თანაარსებობების ისეთ ფორმაზე გადასვლა, რომელიც იქნება ყველა მათგანისათვის ეკონომიკურად სასარგებლო და ეროვნული კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით უსაფრთხო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, აუცილებლად შეეცდებიან გამოიყენონ რომელიმე ერის უკმაყოფილება ქვეყნის დასანგრევად. ეს მათი საყვარელი და ყველაზე უფრო ქმედითი ხერხია. ცხადია, რუსეთში ახლა რომ ვოლგისპირა გერმანელებმა მოითხოვეს დამოუკიდებლობა გერმანული სახელმწიფოს შექმნა ვოლგაზე - ეს უნდა შეფასდეს, როგორც დაუშვებელი მოთხოვნა.

- რატომ ქმნიდით თქვენ მაინცდამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? თქვენი აზრით, სჭირდება ადამიანს საერთოდ ეროვნება?

- ეროვნული ცნობიერება აყალიბებს ადამიანს ადამიანად. ცხოველებს არ გააჩნიათ ეროვნება. რელიგია და ეროვნება წარმოადგენენ ადამიანის განმასხვავებელ ნიშნებს. ხოლო ადამიანისათვის ყველა ეროვნული განმასხვავებელი ნიშნის წართმევა უმძიმესი დანაშაულია. მის წინაშე და მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციის დასაწყისი. დენაციონალიზაცია — ეს არის წინაპრების, წარსულის უპატივცემულობა, ეს ადამიანის ეროვნული ფესვებიდან მოწყვეტაა. ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ადამიანური არსი მხოლოდ საკუთარი ეროვნული კულტურის ფარგლებში. ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელადაა დაკავშირებული მის ეროვნებასთან. და მხოლოდ საკუთარი კულტურის მეოხებით ეზიარება ადამიანი მსოფლიო ცივილიზაციას.

ამგვარად, ადამიანისა და სახელმწიფოს დენაციონალიზაცია იწვევს მათი კავშირის გაწყვეტას სამყაროსთან და ტოვებს დაუცველს მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების შეტევის წინაშე.

- საქართველოში რა ძალები ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნას?

- საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს უწოდებენ ნომენკლატურულს. კულტურის ეს მოღვაწენი საბჭოთა პერიოდში სარგებლობდნენ დიდი პრივილეგიებით. ამ პრივილეგიების მოსაპოვებლად ისინი მზად არიან ღალატისათვისაც. ამჟამად ისინი გაერთიანდნენ ე.შევარდნაძის გარშემო.

ინტელიგენციის ეს ნაწილი აგრეთვე ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის სხვაობა პრაქტიკულად არც არის. ისინი იმდენად

ბ. 4

მარადიული ღირებულებანი

გვ. 3

შეეზარდნენ ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაშია შეთავსებული ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საზოგადოების ამ ფენის ყველაზე უფრო მკაფიო წარმომადგენელი არის ჯაბა იოსელიანი – ეს ჩვენი დროის ახალი ჰიბრიდია. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში წარმოიშვა ასეთი ჰიბრიდის მთელი კლასი, სწორედ მათ უხელმძღვანელეს და მოახდინეს გადატრიალება.

იმას, რაც საქართველოში მოხდა, ზოგიერთი ახასიათებს როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას", ეს არასწორია. საქართველოში მოხდა „მაფიოზური რევოლუცია".

– რატომ იჩენს დასავლეთი ასეთ გაზრდილ ინტერესს კავკასიისადმი?

– ეს რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს ახლო აღმოსავლეთსა და აზიასაც. ეს, სხვათა შორის, ყოველთვის ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს და, ამიტომ, ძველი დროიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ბრძოლა კავკასიისათვის რუსეთსა და დასავლეთს შორის.

„ცხოველებს არ გააჩნიათ ეროვნება"

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია შემაერთებელი ხიდია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამ ხიდის ფლობა ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მხარისათვის.

რუსეთიც ყოველთვის უყურებდა კავკასიას, როგორც ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს. მაგრამ რუსეთი ახლა სუსტდება და ამიტომ, დასავლეთს სურს ინიციატივის ხელში ჩაგდება და თავისი გავლენის გავრცელება ამ რეგიონში, ხოლო საბოლოოდ – მისი ოკუპირებაც. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის" გარეშე. სწორედ, ამ გეგმის განხორციელებისათვის, რომ კავკასია არ გადაიქცეს მეორე ლიბანად, არის აქ გამოგზავნილი შევარდნაძე. მაგალითად, ახლახანს მან პირდაპირ მოიხმო ნატო.

– როგორ აფასებთ თქვენ ახლანდელ რუსეთის მთავრობას და მის პოლიტიკას კავკასიაში?

– მთავრობა, რომელიც ღალატობს საკუთარ ხალხს, არ შეიძლება იყოს სხვა ხალხების მეგობარი.

რუსეთის პოლიტიკას მოაქვს დიდი ზიანი არა მარტო კავკასიის ხალხებისათვის, არამედ თვით რუსეთის გრძელვადიანი ინტერესებისათვისაც. მაგალითად ელცინის მთავრობა არ ცნობს ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. რუსეთის ხელმძღვანელები ვერ ამჩნევენ, რომ ამით ისინი იწვევენ რეგიონში ანტირუსული განწყობილების გამწვავებას. ამავე დროს რუსეთისათვის საკმარისია, ცნოს მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და იგი მათი სახით შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს. აქ ძალიან მკაფიოდ განასხვავებენ ელცინისა და რუსეთის სახელმწიფოს, და მიუხედავად პირველისადმი მტრული დამოკიდებულებისა, მიილტვიან რუსეთისაკენ, როგორც დასავლური ექსპანსიისაგან დამცველისაკენ.

– ბატონო პრეზიდენტო, თქვენ თვითონ როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთთან?

– ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. მე ვფიქრობ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს. ხელისუფალნი მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. ჩემთვის გასაგებია, რომ ის როლი, რომელსაც რუსეთი ასრულებს დღეს კავკასიაში, არ შეესაბამება მის საკუთარ ინტერესებს, არამედ თავსმოხვეული აქვს მას ოკეანის გაღმიდან.

მე ყოველთვის პროგრესულად ვიყავი განწყობილი, ყოველთვის მსურდა მჭიდრო კავშირი მქონოდა რუსეთთან, ვოცნებობდი, რომ საქართველო ყოფილიყო თავისი დიადი ჩრდილო მეზობლის ბუნებრივი მოკავშირე. მაგრამ ეს ხელს არ აძლევს დასავლეთის სამყაროს და მის მორჩილ რუსეთის მთავრობას. ისინი აგრძელებენ კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას. ამის შედეგად დღეს ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდი ომად გადაქცევის სრულიად რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს იმ ხალხების საღი აზროვნებისა და გონიერების, რომლებიც ჩათრეულნი არიან კონფლიქტში, და, პირველ რიგში, რუსი ხალხისა. მე იმედი მაქვს, რომ ის მიხვდება, კერძოდ ვინ და რომელი ინტერესებისათვის უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის ქარცეცხლში. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ გაიმარჯვებს. მხოლოდ დასავლეთის სამყარო ჩვეულებისამებრ მოითბობს ხელებს ახალი ომის ალზე.

მაგრამ მე მჯერა ხალხთა გონიერების, ეს უკანასკნელია, რასაც შეუძლია თავიდან აგვაცილოს კატასტროფა.

„ქუჯის" ფოსტა

ჩამწარებული 26 მაისი

2001 წლის 26 მაისი, რესპუბლიკის მოედანი; მრგვალი მაგიდა და კანონიერი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტაცია მიტინგის გასამართად დროშებითა და ჯვრებით ხელში კიბეებზე განლაგდა. რამდენიმე მათი შეძახილი: "საქართველო", "საქართველო" ... და მათ დასაშლელად გადაცმული პოლიცია შეეგება. პირველი მათი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა – მიტინგი მალევე გაგრძელდა. ამის შემდეგ ქალაქის პოლიციის ბოსი ვიდაც დიდ ჩინოსანს უკავშირდება მობილური ტელეფონით და რაღაც ნებართვას სთხოვს. გამომეტყველებაზე ეტყობა, ეს ნებართვაც მიიღო, მისი უცნაური ხელის მოძრაობა და მომიტინგეებისაკენ თუთრი, მეტრიანი ფარებითა და ხელ-ჯოხებით აღჭურვილი მხედრიონი შემოვარდა. ვერც კი მოვასწარი რიგიანად გვერდზე გადადგომა, რომ რამდენიმე „დუბინკა" მომხვდა და და თავგაპობილი მათ ფერხთით დავეცი, კიდევ რამდენიმე დარტყმა წაქცევის შემდეგ, და გონს საავადმყოფოში მოვედი: თავზე რამდენიმე ნაკერითა და დალურჯებული სხეულით.

ახლა ვწევარ და ვფიქრობ, რა იყო ეს მათი ქმედება? მოძმის სიძულვილი, ანგარება თუ ხელისუფლების მიერ ადამიანების გაბრიყვება? – ალბათ ერთიც, მეორეც და მესამეც ... – იმან თქვას, ვისი სინდისიც სუფთაა ერის წინაშე.

საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა მოძმეთა შორის ხმალთა კვეთება, მაგრამ უიარაღო ადამიანები რომ დასჯილიყვნენ, ეს არ გამიგია: ან რა დანაშაულისათვის გვცემეს.?

– ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული ვინ ჩამითვალა ცოდვად?

ფიზიკურმა ტკივილებმა უკვე გამიარა, მაგრამ სულიერი მტანჯავს, მართლა ასეა, რომ მათ და ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს? მინდა, არ მინდა, უნდა შევეგუო ამ აზრს: ხანდახან ოჯახშიც იბადება წეერი მრუდე ხერხემლით და მას ოჯახი მკურნალობს.

თავს იმითაც ვიიმედებ, რომ საავადმყოფოში დაზარალებული პოლიციელებიც იყვნენ და ჩვენს შორის აღარ ყოფილა ის დაპირისპირება, რაც მიტინგის გამართვის ადგილზე ხდებოდა, ის კი არა და, ერთმანეთისადმი თითქმის თანაგრძნობითაც განვიმსჭვალეთ, თითქოს მათ ჩემთვის ბოდიშის მოხდაც კი უნდოდათ, ასე ჩანდა მათ თვალებში, მე ასე ვიგრძენი და, მგონია, არც ვცდები. უბრალოდ,ისინი ვიღაცის ინტერესებს ეწირებიან და იჭუჭყიანებენ თავიანთ საკან გზას – მათ ამაზე დაფიქრება მართებთ.

მე კი მინდა მოვუხმო დიდებულ ქართულ შეგონებას: "რაც მტრობას დაუნერგია, სიყვარულს უშენებია".

ალექსანდრე (კოტე) რეხვიაშვილი
7-VI-2001.

***

ღირსების ორდენის მიღებაზე უარი განაცხადეს: მოქანდაკე არსენ ფოჩხუამ, მსახიობმა ოთარ კობერიძემ, "სამტრესტის" ყოფილმა მმართველმა გიორგი თუშმალიშვილმა და სხვ.

ქრნანისი

ანტირაბიული, ანუ ცოფის საწინააღმდეგო აცრისას ანტირაბიული შრატი კეთდება გამა-გლობულინთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში ანტირაბიული აცრა კარგავს თავის ეფექტურობას. გამა-გლობულინი არის სისხლის პლაზმის ცილოვანი ფრაქცია, რომელიც შეიცავს ანტისხეულებს. იგი საკმაოდ ძვირადღირებული პრეპარატია.

რამდენადაც სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რესპუბლიკა გამა-გლობულინით აღარ მარაგდება, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდ საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას მაწანწალა ძაღლები, რომლებიც მოდებულნი არიან მთელ ქალაქს.

ანტირაბიული აცრები კეთდებოდა მხოლოდ ქალაქის № 1 საავადმყოფოში, ხოლო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, გამაგლობულინის უქონლობის გამო აღნიშნული აცრების ჩატარება აზრს კარგავდა, რადგანაც მიუხედავად "მკურნალობისა" ცოფიანი ძაღლებისაგან დაკბენილი ავადმყოფები იღუპებოდნენ, მედპერსონალს კი დიდი უსიამოვნებები ხვდებოდა დაღუპულ ავადმყოფთა ახლობლების მხრიდან.

№1 საავადმყოფოს ანტირაბიულმა კაბინეტმა მიმართა მოთხოვნით სამმართველოს, რათა დაეკმაყოფილებინათ ისინი აცრისათვის აუცილებელი გამა-გლობულინით, მაგრამ უშედეგოდ.

ამ გამოუვალ მდგომარეობაში პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ზემოაღნიშნულმა ანტირაბიულმა კაბინეტმა შეწყვიტა ფუნქციონირება და ანტირაბიული აცრების პრობლემები პოლიკლინიკებს გადააბარა.

ხარაგაულის რაიონი

ხარაგაულში აუქციონზე გაიყიდა "სარემონტო კანტორა", რომელიც იყიდეს გერმანელებმა 4 700 დოლარად.

ხარაგაულის სოფ. კიცხის სკოლის შენობა სარემონტოდ აიღეს გერმანელებმა.

ხარაგაულის მე-2 საშუალო სკოლაში რემონტი ჩაატარეს გერმანელებმა, რომლებიც ამით მოსახლეობას უსვენებენ, თუ როგორ ხრუნავენ ხალხზე და ამ გზით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის შესყიდვას.

ონი

ონში მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება, კვლავაც გაუცემელია წინა 14 თვისა და ახალი სამი თვის პენსიები, გზები და საერთო მდგომარეობა უარესად გაფუჭდა. მოხსნეს უწერა-ონის ავტობუსი და გასაცოდავებული ხალხი ფეხით დადის (6-7 კილომეტრს) ონში.

ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის ტყეები იყიდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისის წარმომადგენელთან, ჯერ-ჯერობით ფასზე ვერ თანხმდებიან.

კვლავ განუკითხავად ინახება ტყე. ტყის ჭრის ე.წ. ოფიციალური ფონდი იყო 8 ათასი კუბამეტრი. ახლა ახალი ფონდი "ჩამოვიდა" და დაშვებულია 15 ათასი კუბამეტრი; ცხადია, სამჯერ მეტიც გაიჩეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით, სატყეო მეურნეობის უფროსს ზურაბ ტყეშელაშვილთან იყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ტყეშელაშვილმა თავად აღიარა, რომ ტექნიკის უქონლობის გამო ტყის სიღრმეებში ვერ შედიან და ჭრიან იქ, სადაც ადვილად მიუდგებიან ტყეს. ცინიზმით ისიც დააყოლა, რომ ნაკეთოის ტყეებში იმძლავრა წაბლმა და ფიჭვი ამიტომ გაიჩეხა. აბა, ნახეთ ნაკეთოის ღორები, როგორი ჩასუქებულები არიანო. ღორების მეურვეს ავიწყდება, რომ ფიჭვი და სხვა წიწვოვანი საუკეთესო გამწმენდია ჰაერისა.

იყიდება ელექტროკავშირგაბმულობა, ფასზეც არის შეთანხმება (20 მილიონად ყიდულობენ იაპონელები), გარიგება უნდა დამთავრებულიყო აპრილის ბოლოს, რატომდაც გადავადდა ერთი თვით.

აპრილის ბოლო რიცხვებში ონში ჩამოსული იყო ამერიკის ელჩი, რომელიც მისი ებრაელობის გამო მოსახლეობას ერთხანს ისრაელის ელჩი ეგონა, მით უფრო რომ ოფიციოზმა განაცხადა, მაღალი სტუმარი სინაგოგის მოსანახულებლად და ადგილობრივი ებრაელების ინტერესების დასაცავად არის ჩამოსულიო, თუმცა ხალხში გავრცელებული ხმების მიხედვით, ელჩს ღვინო–ქაშერის წარმოება აინტერესებდა (თავის დროზე ქაშერის წარმოება ვინმე ელგუჯა ბაკურაძის მიერ ამბროლაურში ხვანჭკარის წარმოების გაშლას შეეწირა. მაშინ ბაკურაძემ მეგენახეებს მეტი გადაუხადა. იმასაც ამბობენ, ქაშერს მორფს აყოლებდნენო). ხალხს ვარაუდები არ ელევა, იმასაც ამბობენ, რომ მთელი ეს სტუმრობანა ონში ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლებას უკავშირდება. ჩამოსახლების ადგილად სოფ. შქმერსა და მრავალძალს მიიჩნევენ... ამ მითქმა-მოთქმაში ერთი რამაა ძალზე საგულისხმო, ხალხი არაფერს კარგს არ ელოდება თავისი მთავრობისა და მისი სტუმრებისაგან. ჭეშმარიტად დიდად უნდა გაისარჯონ ხელისუფლება და მისი უცხოელი ქომაგები, რომ ასეთი ურყევი რწმენა ნაუნერგონ ხალხს – რაც მათგან მოდის, არასოდეს არ იქნება კარგი ხალხისათვისო.

***

მოქალაქეთა კავშირის წევრი ნიორაძე, რომელიც ნაძალადევის რაიონში დეპუტატობის კანდიდატი იყო, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, მე-2 მიკრორაიონში (კორპუსი №2) პირველ სართულზე ატარებს სარემონტო სამუშაოებს, როგორც ამბობენ, სავაჭრო ცენტრის გახსნას აპირებს. ნიორაძე უცხოური მარკის ავტომანქანით, საკუთარი დაცვით ხშირი სტუმარია მშენებლობისა.

***

მეტეხის უბანში იქ, სადაც წინათ სომხური ეკლესია იყო, კვლავ აპირებენ სომხური ეკლესიის მშენებლობას. ტერიტორია, სადაც ეკლესია უნდა აშენდეს, რამდენჯერმე თან ზოდელავამ მოინახულა. როგორც ამბობენ, ეკლესიის მშენებლობის ხარჯებს სომხეთი გაიღებს. მათ მშენებლობისათვის უკვე ხუთი მილიონი დოლარი გადმორიცხეს.

საქართველოს ამბები

როგორ ვახშმობდა „ვახშამა"

თურქეთში, აპრილის თვეში, ინტერპოლის მეშვეობით დააკავეს ონელი ებრაელი მიხა შიმშილაშვილი, მეტსახელად „ვახშამა", რომელსაც ადმოუჩინეს უნიკალური ხატები. განსაკუთრებით ერთი დასაკეცი ხატი იწვევდა გაოცებას. იგი დაკავებული იქნა მეუღლესთან ერთად. ეს ყველაფერი გადაიცა ტელევიზიით, მაგრამ შემდეგ საქმე მიჩუმათდა. ისიც თქვეს, ყველა „ჩაუშვაო". ჩანს, დაასახელა ისეთი პირები, რომელთა გახმა ერება ხელს არ აძლევდათ. „ვახშამა" მუდამ იყო ხელშეუხებელი, კომუნისტების დროიდან. მასზე სასამართლომდე მისული საქმეც იყო ონში აღძრული, მაგრამ "ჩაიფარცხა". ამბობენ, ონიდან რაც კი რამ გავიდა ღირებული, მისი ხელით გავიდა პირველი კაცის ხელშეწყობითო.

პირველი მცნება: "შეიყვარე უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა". მეორე მცნება: "შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

რედაქციაში ახალგაზრდა ქალბატონი გვესტუმრა, რომელმაც მოკრძალებით გაგვანდო ჩვენთან მოსვლის მიზეზი. როგორც საუბარში გაირკვა, იგი არა მარტო ქვეყნის დღევანდელი ყოფით გახლდათ შეჭირვებული, პირადულ, ოჯახურ, ავბედით მდგომარეობასაც დაემძიმებინა მისი სული. მან ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამის მიზეზს ჩვენი საუბრისას შეიტყობთ.

- თქვენთან მოსვლა 26 მაისს ტელევიზიით ნაჩვენებმა მიტინგის დარბევის კადრებმა გადამაწყვეტინა. ის კადრები ტელევიზიით რომ აჩვენეს, შემდეგ გაზეთ "ქუჯი"- ში ვნახე. მანამდე ნანახი მქონდა გაზეთი "ქუჯი", მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ დავინტერესებულვარ შემეძინა, რადგანაც ისედაც იმდენი გაზეთია და არ იცი ადამიანმა რომელი შეიძინო ამ სიდუხჭირის პირობებში. წავიკითხე გაზეთი და პოლიციელთა ვანდალიზმმა შემძრა. ნუთუ შეიძლება, საკუთარი ხალხი ასე გაწირო, ასე აბუჩად აიგდო...

- ქალბატონო ელენე (პირობითად ასე მივმართავ), ამის მსგავსი კადრები ადრეც უჩვენებიათ ტელევიზიით, პრესით, თუ როგორ უმონყალოდ არბევდნენ მშვიდობიან მიტინგებს. იყო უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც. თითქოს ამას საზოგადოება შეეჩვია, ყოველ შემთხვევაში ხალხიდან მკვეთრი რეაქცია არ ყოფილა. რა მოხდა, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი აღელვება?

